
URL: <http://urakparaki.com/?m=4&ID=105339>

ავტორი: კრავაი ზვერელი

ქანრი: თარგმანი

გამოქვეყნების დრო: 2020-02-08 10:14:50

თავსხმა წვიმა

თურქულიდან (ბეჰრამოღლი) ბწკარ. ალ.ელერდამვილის

ჯერ ცვარი ცვივა, ციდან წვიმა მოიპარება,
სიო საამოდ შეერია სულში სისველეს,
ჩამოუწველეს ცას ჯიქნები, მერე, ქარებმა,
ღვარცოფისგან დაღლილებმა ჩამოისვენეს

ქარიშხალებმა ხის გოგები გაიყოლია,
ხეებმა ძვლები დაიდრიკეს ქარის წინაშე.
ზის სახურავზე გალუმპული თეთრი თოლია,
მოგავს სიყვარულს მიტოვებულს, თავსხმა წვიმაში.

ისე მანგრევენ სტიქიები, ეს ბობოქრები,
გამომიცოცხლდნენ სურათები წარსულიანად,
რომ გაჩნდები და მერე უცებ, სადღაც გაქრები.
ღვარცოფმაც ციდან, ასე უცებ, გადაიარა...

ასე, დანგრეულ სიყვარულში გრჩება კადრები...
გრჩება სიჩუმე, ტკივილი და წვიმის იარა.

SAĞANAK Ataol Behramoğlu

Önce birkaç yağmur damlasıydı ancak
Ve bir serinlik hafifçe hissedilen
Görünmez ellerce sağılan gökyüzünden
Ansızın boşandı sağanak
Ağaçlar secdeye varıyormuş gibi
Eğildiler önünde fırtınanın
Sadece üstünde komşu damın
Bir martı sessiz bir sabırla bekledi
Doğa kendi yazgısıyla uyumlu
Sanki bir şeyler anımsıyordu
Evrenin doğum gününce uzak

Sađanak ansızın başladı ve bitti
Tıpkı aşk gibi yaşam gibi
Yerini ıssızlığa bırakarak